**პისიდიის მიტროპოლიტის სოტირიოსის საშობაო მიმართვა**

ქრისტეს შობა 2020/21

**,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება"**

ზეციური ანგელოზების კაცობრიობისადმი გზავნილს დღევანდელ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ხალხისათვის, რომლებიც განიცდიან შეშფოთებისა და აფორიაქებას, უსტაბილურობას, გამანადგურებელ კომფლიქტებს, ექსპლუატაციას და პანდემიის ტრაგიკულ შედეგებს ადამიანთა ყოველდღიურ დაბნეულობას ემატება ფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები: დეპრესია, სასოწარკვეთილება, თვითმკვლელობისადმი მიდრეკილება....ისმის კითხვა..... როდის.....ღა დამთავრდება ახლანდელი სამწუხარო მდგომარეობა?

დავითის წინასწამეტყველური სიტყვები გვაფრთხილებენ: ,,რომელთა განიშორნეს თავნი თვისნი შენგან, იგინი წარწყმდნენ" (ფს.72 [73], 27), იქნება ეს ცალკეული ადამიანი თუ მთელი ერი.... ისტორიაში უამრავჯერ დამტკიცდა ეს ღვთივშთაგონებული სიტყვები....მსოფლიო იპოვნის ხსნას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის უფალს დაუბრუნდება.....და ჩვენ, მართლმადიდებლები, მოწოდებულები ვართ განსაკუთრებით დავამტკიცოთ ჩვენი სარწმუნოება, რათა სხვებს შეელოთ იპოვნონ თავიანთი ხსნის გზა მხსნელი იესო ქრისტესკენ....

როდესაც იესო იშვა, ხალხი მორჩილად მოვიდა მასთან თაყვანის საცემად; არა მარტო უბრალო მწყემსები, არამედ ბრძენი ვარსკვლავთ მრიცველები აღმოსავლეთიდან და თავიანთი მისვლით თაყვანი სცეს წმინდა ახლად შობილს იუდეიის ბრძენმა წინამძღვრებმა აცნობეს მეფე იროდის, რომ მესია მოვიდოდა იუდეიის ბეთლემიდან იუდეველებმა იცოდნენ ეს წინასწარმეტყველთა წიგნებიდან, და მიუხედავად იმისა, მათ არ იჩქარეს მისულიყვნენ იესოსთან, თუმცა....ღა ბეთლემი 8 კილომეტრში მდებარეობდა იერუსალმიდან..... დაშორებით. მოგვიანებით როდესაც იერუსალიმის მმართველები გაუსწორდნენ იესოს, მათი ერთადერთი მიზანი იყო გაენადგურებინათ იგი.....

უფალმა კი თქვა: ,,ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალგულითა, და ჰპოოთ განსუენება სულთა თქვენთა" (მათე 11:29). ყველამ ვიცით როგორი მშვიდი და მორჩილი იყო უფალი დაბადებიდან თავისი მსხვერპლად შეწირვით ჯვარზე გაკვრამდე.... ამიტომ მხოლოდ მორჩილ....და უბრალო სულის მქონეებს შეუძლიათ მიუახლოვდნენ, შეიცნონ და შეეწყნენ..... იესო ქრისტეს და იპოვონ სიმშვიდე და ჭეშმარიტი სიხარული მასთან ყოფნისა..... საკუთარი მაგალითით და ლოცვით, ჩემი ძმებო, მოდით დავეხმაროთ ჩვენს გარშემო მყოფ ადამიანებს მიუახლოვდნენ მხსნელ ქრისტეს, რათა მათმა სულებმა შეძლონ განათლდნენ და მიიღონ იგი, რათა მათ შეეძლოთ

დატკბნენ ჭეშმარიტი სიხარულითა და მშვიდობით, რომელსაც ის კაცობრიობას სთავაზობს.....

ამავ დროულად, ჩემო ძმებო და დებო, განსაკუთრებით ამ წმინდა დღეებში, მოდით ვიზრუნოთ ჩვენს ავადმყოფ და განსაცდელში მყოფ ძმებზე მოდით ყველაფერი გავაკეთოთ მათთვის, რაც შეგვიძლია, ამასთანავე შთავაგონოთ სხვა ადამიანებსაც გამოამჟღავნონ თავიანთი კეთილი განწყობა და თავიანთი ძალების შესაძლებლობების მიხედვით მხარი დაუჭირონ გარშემომყოფებს. ამის გარდა, მოდით აღვავლინოთ.... ლოცვა მთელი მსოფლიოსთვის, COVID-19....უკურნებული პანდემიით დაავადებულთათვის.....მოდით შევთხოვოთ უფალს მთელი დედამიწის მოსახლეობისათვის, ავადმყოფთათვის, საწოლთან მიჯაჭვებულებისთვის, უსახლკაროთათვის, ტყვეებისათვის, მშიერთათვის, ლტოლვილთათვის და მათთვის, ვინც აღმოჩნდა საბრძოლო ველზე სამხედრო მოქმედების ზონაში.....მოდით ვილოცოთ ყველა მათთვის, რომელიც სიბნელეში ცხოვრობს, ვერ ხედავს ჭეშმარიტ ღმერთს და სასოწარკვეთილებას განიცდის.....

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, ამ დიდი დღესასწაულის გალობებში, ჩვენ ვგალობთ ისტორიულ მოვლენას-მხსნელის შობას, და მასთან ერთად განვიცდით ამას, როგორც სინამდვილეს ისე, ეს რომ ახლა ხდებოდეს..... ამიტომაა საეკლესიო მსახურებებში ხშირად მეორდება სიტყვა ,,დღეს." ლიტურღიის დროს, როდესაც სრულდება ეკლესიის წმინდა საიდუმლოებები, ყველა მოვლენები საღვთო სახლთმშენებლობისა, გამოსასყიდი ყოფნა ღვთის ძისა დედამიწაზე მეორდება აქ და ახლა, რადგან ჩვენ, მორწმუნეებს, შეგვეძლოს ხსნის მონაწილეები გავხდეთ.....აი რატომაა საშობაო საღვთო ლიტურღიის დროს ჩვენ შეგვიძლია ანგელოზთან ერთად ვიგალობოთ ,,დიდება მაღალთა შინა ღმერთსა." მწყემსებთან ერთად ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ღვთიური ,,ახალშობილი, ბაგაში ჩაწოლილი." და მოგვებთან ერთად ჩვენ შეგვიძლია თაყვანი ვცეთ ჩვენი სულების მეფეს, მივუძღვნათ მას ჩვენი საკუთარი ძღვენი: ოქროს მაგივრად თბილი და მოსიყვარულე გულები, რომ მან შესძლოს მოვიდეს და დაემკვიდროს ჩვენში, როგორც ბაგაში; გუნდრუკი-ჩვენი ცოდვებისაგან გულწრფელი მონანიება, და მურის.... მაგივრად ჩვენი გულწრფელი თაყვანის ცემა და მადლიერება მის გარდასახვასა და ჩვენთვის სიკვდილისაგან ხსნის შემოთავაზებისათვის.....

ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო, მე გისურვებთ ამ წელს შეხვდეთ უფლის შობას ჯანმრთელად, ღრმა რწმენით და ჩვენი უფალი იესო ქრისტესადმი მადლიერებით, რომელმაც მიიღო ადამიანური ბუნება, რათა შემოეთავაზებინა ჩვენთვის სიცოცხლე და აღდგომა..... ყველას გისურვებთ ბედნიერად და მშვიდობიანად აღნიშნოთ ეს უდიდესი დღესასწაული ნათესავებთან და ახლობლებთან ერთად.